უკონტროლო მოსმენები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

2024

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ნინო ჩალაძე
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 3

პირადი ცხოვრების უფლებით დაცული სფერო და საკანონმდებლო ჩარჩო 4

პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის საფუძვლები 6

უკონტროლო მოსმენები 7

ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 9

- ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე უფლებამოსილი ორგანო 9
- ფარული საგამოძიებო მოქმედებების ზედამხედველობა 11
- საკანონმდებლო ცვლილებები 13

გამოძიება და ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეთა წარმოება 14

დასკვნა 17

რეკომენდაციები 19

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას დაზარალებულებს. საქმეთა წარმოების პროცესში პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია როგორც ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ ხარვეზებთან.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად ისახავს სისტემურ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებული პრობლემებისა და გამოწვევების შეჯამებას, საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებას, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და რეკომენდაციების შემუშავებას.

დოკუმენტში აღწერილია პირადი ცხოვრების უფლებით დაცული სფერო და ამ მიმართულებით საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო. განხილულია პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის საფუძვლები და კომუნიკაციის თავისუფლების, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფუნდამენტური ნაწილის, სახელმწიფო ჩარევისგან დაცვის საჭიროება. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მასობრივი ფარული მიყურადება და უკანონო თვალთვალის შემთხვევები მნიშვნელოვნად ლახავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს. აქედან გამომდინარე, შეფასებულია საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საგამოძიებო მოქმედებების არეალის გაფართოების მიზანშეწონილობა. დოკუმენტი, ასევე, მიმოიხილავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანოს ლეგიტიმურობას, ასეთ მოქმედებებზე ეფექტიანი ზედამხედველობისა და კონტროლის საჭიროებას. დამატებით, აქცენტია გაკეთებული ე.წ. მოსმენის საქმეებზე ჯეროვანი გამოძიების ჩატარების საჭიროებაზე.

დასკვნის სახით შეჯამებულია ანალიტიკურ დოკუმენტში აღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხები, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების განცხადებებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის პრაქტიკიდან. დამატებით, რიგ საკითხებთან მიმართებაში წარმოდგენილია პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული რეკომენდაციები.

პირადი ცხოვრების უფლებით დაცული სფერო და საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება, პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია.[1] ასევე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებით გათვალისწინებულია მოქალაქეთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვა. კერძოდ, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი სწორედ ამ უფლების დაცვას ისახავს მიზნად.

პირადი ცხოვრების უფლების ცნება ამომწურავად არ არის განსაზღვრული არც კანონმდებლობაში და არც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში,[2] რადგან, სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების უფლება იმდენად ფართო კონცეფციაა, რომ ის ამომწურავ განსაზღვრებას არ ექვემდებარება.[3]

პირადი ცხოვრების უფლებით დაცული სიკეთეები მოიცავს ადამიანის პატივსა და ღირსებას, პერსონალურ მონაცემებსა და სხვა ასპექტებს.[4] ამ უფლებაზე მსჯელობისას, თითოეული ადამიანის პირადი სფეროს გათვალისწინება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.[5] ასევე, პირადი ცხოვრების უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან და მოიცავს ადამიანის ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს. რაც შეეხება, კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას, ის მოაზრებულია ამ ძირითადი უფლების მიმართ არსებულ სპეციალურ უფლებად.[6]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო მოიცავს ადამიანის ოჯახურ ცხოვრებას, სექსუალურ ურთიერთობებს, პიროვნულ ჩვევებს, მოძღვრისთვის აღსარებისას მინდობილ ინფორმაციას, სამედიცინო გამოკვლევების შედეგებს, ადამიანის ემოციებს, გრძნობებს და ა.შ. აქედან გამომდინარე, ადამიანის მიერ „პრივატულ სფეროში

.....

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 15

[2] D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, 524.

[3] Costello-Roberts v. the United Kingdom, 25 March 1993, § 36, Series A no. 247-C

[4] ბესარიონ ბოხაშვილი, კონსტანტინე კორკელია; „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები"; 2017; გვ. 22-112; იხ. ბმული

[5] Christine Goodwin v. the United Kingdom [GC], no. 28957/95, § 90, ECHR 2002-VI

[6] ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს.,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 22.

გამოხატვის ფორმები უნდა იყოს განსაკუთრებულად დაცული სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირის ზედამხედველობისაგან“.[7]

მონაცემთა დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად საქართველოში მოქმედებს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.[8] კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის იდენტიფიცირებას, მაგალითად, ასეთი ინფორმაცია შეიძლება იყოს ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლები.[9] უფრო მეტიც, არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომლებიც დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობს და დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და ა.შ.[10]

ბოლო წლებში გახშირდა ინტერნეტის მეშვეობით პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების რაოდენობა. საქართველოში ამ ტიპის დანაშაულის მსხვერპლები უმეტესად ქალები არიან, რომელთა ასაკი 9-დან 84 წლამდე ფარგლებში მერყეობს. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გასაჯაროებით მუქარა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს,[11] რაზეც, სამწუხაროდ, საზოგადოებაში დაბალია ცნობიერება და მსხვერპლს უიმედო მდგომარეობაში, შანტაჟის შიშით, სუიციდისთვისაც კი მიუმართავს.[12]

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება, რომ **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია, როგორც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, ისე კერძო კომუნიკაციის, პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა.**[13]

თვალთვალისა და მიყურადების შემთხვევები წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, რაც დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად,

.....

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 12. იხ. ბმული

[8] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მ. 1

[9] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მ. 2 (ა)

[10] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მ. 2 (ბ)

[11] რადიო თავისუფლების სტატია; „ყველაზე პატარა მსხვერპლი 9 წლისაა, ყველაზე დიდი 84-ის - როცა ინტიმური ფოტოების გამოქვეყნებით გემუქრებიან“; 05.03.2024; იხ. ბმული

[12] რადიო თავისუფლების სტატია; „გურიაში გოგომ თავი მოიკლა შანტაჟის შიშით“; 18.08.2018; იხ. ბმული

[13] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 157; 157[1]; 158; 159.

სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით და ის გამორიცხავს საჯარო ხელისუფლების თვითნებობის შესაძლებლობას.[14]

პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის საფუძვლები

ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ხელისუფლებას შესაძლოა გააჩნდეს მეტი ბერკეტი უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, მით უფრო მნიშვნელოვანია, პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ხელისუფლების მხრიდან ყოველი ჩარევის კანონიერების შემოწმება.

პირადი ცხოვრების უფლება არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვა დასაშვებია კონსტიტუციაში გაწერილი საფუძვლებით. **შეზღუდვა შესაძლოა მოხდეს მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.**[15]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასებისას, ამოწმებს სამ ძირითად პირობას. კერძოდ, პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვა ჩაითვლება მართლზომიერად, როცა შეზღუდვა არის კანონის შესაბამისი, მას აქვს ლეგიტიმური მიზანი, მაგალითად, ემსახურება საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს და ის აუცილებელია მიზნის მისაღწევად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ე.ი არ არსებობს სხვა ნაკლებ მზღუდავი საშუალება იმავე მიზნის მისაღწევად.[16] მაგალითად, ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი ვიდეო თვალთვალის ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზანი შესაძლოა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქმედება თავისთავად გამართლებულად ჩაითვლება, არამედ, მნიშვნელოვანია შესაბამისი დასაბუთება თუ რატომ ხდება დაცული უფლების სფეროში შეჭრა მიზნის მისაღწევად. რაც უფრო მეტად ხდება უფლების შეზღუდვა, მით უკეთ უნდა დასაბუთდეს ჩარევის გარდაუვალობა.[17] თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ჩარევა უნდა იყოს ლოგიკური კავშირი ლეგიტიმური მიზნის მიღწევასა და უფლების შესაზღუდად გაწეულ ქმედებას შორის. იმ შემთხვევაში, თუ უფლებაში ჩარევა უფრო

[14] კილკელი უ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2005, 79. იხ. ბმული

[15] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 15

[16] Desara Dushi, "The use of facial recognition technology in EU law enforcement: Fundamental rights implications" [2020] p 5; FRA Focus, "Facial recognition technology: fundamental rights considerations in the context of law enforcement", 2019, p 22; ბესარიონ ბოხაშვილი, კონსტანტინე კორკელია;„პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები"; 2017; გვ. 13-14; იხ. ბმული

[17] FRA Focus, "Facial recognition technology: fundamental rights considerations in the context of law enforcement", 2019, p 22

მეტად საზიანოა, ვიდრე სასიკეთო, მაშინ უფლებაში ჩარევა ჩაითვლება არათანაზომიერად.[18]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დაცული უნდა იყოს როგორც ფუნდამენტური უფლებები, ისე კონსტიტუციით გათვალისიწინებული ლეგიტიმური ინტერესები. ერთი მხრივ, სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულება სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა და გამოძიების უზრუნველყოფაა, მაგრამ, იმავდროულად, ამან საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს ადამიანების თავისუფალი განვითარების პერსპექტივები და არ უნდა დაარღვიოს პირადი ცხოვრების უფლება. ამგვარად, ადამიანის პირადი სივრცის არაპროპორციულად შეზღუდვის ხარჯზე სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა ეწინააღმდეგება თვით დემოკრატიის დაცვის მიზანს. შესაბამისად, **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევისას, ხელისუფლება ვალდებულია, გამოიყენოს მიზნის მისაღწევად შესაბამისი, უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი და პროპორციული საშუალება.** წინააღმდეგ შემთხვევაში, არამართლზომიერად დაირღვევა ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება.[19]

უკონტროლო მოსმენები

საქართველოში არსებული საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ხარვეზების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მასშტაბური უკანონო მოსმენების გაჟონვის ფაქტები. სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უკანონო მოსმენები ჯერ კიდევ 2013 წელს დაგმეს კამპანიით „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“, ის მიზნად ისახავდა უკონტროლო ფარული მიყურადების შეზღუდვას ისე, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების თვალთვალი სასამართლოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მოქცეულიყო.[20] თუმცა, უკანონო მოსმენებზე დღესაც არ ხორციელდება ეფექტიანი ინსტიტუციური ზედამხედველობა და კონტროლი.[21]

უკონტროლო მოსმენების ყველაზე მოცულობითი მტკიცებულება 2021 წელს გამოვლინდა, როცა მანამდე არნახული მასშტაბის თვალთვალისა და მიყურადების მასალები ელექტრონულად გავრცელდა. ძირითადად უსმენდნენ სამოქალაქო სექტორის, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, სასულიერო პირების და

.....

[18] European Data protection supervisor, “Assessing the necessity of measures that limit the fundamental right to the protection of personal data: A Toolkit”, 2017, p 5

[19] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 31-32. იხ. ბმული

[20] ადამიანის უფლებათა ცენტრის 2014 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში, 2015, გვ. 9-10. იხ. ბმული

[21] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტში წლიური ანგარიში წარადგინა; 2022 იხ. ბმული

დიპლომატების საუბრებს. საქართველოს სახალხო დამცველის თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში გავრცელებულმა ინფორმაციამ საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა, რომ უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების მასალები წინასაარჩევნოდ ზეგავლენის მოხდენის მიზნითაც გამოიყენებოდა.[22]

ე.წ. კრებსების საქმეში, ფარული მოსმენების ფაილები ატვირთული იყო საჯარო პლატფორმებზე, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომლის მიერ, რომელმაც გვერდზე ასევე დატოვა შეტყობინება: „არ არსებობს იმაზე ბოროტი და საშინელი სამსახური, სადაც მე რამდენიმე წელი გავატარე! სათაური ასეთი არ აქვს – სათაური კეთილშობილია – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური... სინამდვილეში კი, არაფერი არ უქმნის საფრთხეს ჩვენ სახელმწიფოს, არაფერი არ ხრწნის ისე, როგორც ჩვენ! ჩვენ კიბო ვართ და მეც ერთერთი მეტასტაზი ვარ!.. აქ თქვენ ნახავთ მასშტაბს იმ საძაგლობისა, რომელშიც წლები გავატარე და ღმერთმა მაპატიოს, ღმერთმა ქნას - გაიღვიძოთ და დაანგრიოთ ეს სისტემა!“[23]

პირადი ცხოვრების უფლებასთან ერთად, გავრცელებულ მასალებში გამოიკვეთა სხვა ფუნდამენტური უფლებების დარღვევებიც. მაგალითად, გამოიკვეთა, რომ მასშტაბური ხასიათი აქვს რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის კონტროლს. მადისკრედიტირებელი ინფორმაციის შეგროვებისა თუ გავრცელების მიზნით, სასულიერო პირების უკანონო მიყურადება წარმოადგენს როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას, ისე რელიგიური თავისუფლების უხეშ დარღვევას.[24]

გავრცელებულ დოკუმენტებში იკვეთებოდა ის ფაქტიც, რომ „მოსმენაზე ჩართვა“ ყოველგვარი სასამართლოს ნებართვის საჭიროების გარეშე ხდებოდა.[25] სახალხო დამცველის შეფასებით, უპრეცედენტო მოცულობის ფაილები არაერთი პირის მიერ დასტურდება, ამიტომ, **სავარაუდოა, რომ მასალების მოპოვება აშკარა უკანონო ფარული მიყურადების შედეგად მოხდა. ეს ყოველივე გასაკვირი არ არის, რადგან უკონტროლო თვალთვალის საფუძველს თვით მოქმედი კანონმდებლობა ქმნის მაშინ, როცა უსაფრთხოების ორგანოებს მობილური ოპერატორების სერვერებზე უკონტროლო, პირდაპირი მიერთების შესაძლებლობას აძლევს და ამით უკანონო მიყურადების შესაძლებლობას ამარტივებს.**[26]

.....

[22] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტში წლიური ანგარიში წარადგინა; 2022 იხ. ბმული

[23] ტაბულას განცხადება; მთავარი არხი: პირმა, რომელმაც სუს-იდან ფარული მასალები გამოიტანა, თავი მოიკლა’ 13.09.2021; იხ. ბმული

[24] საქართველოს სახალხო დამცველი, „სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2022“; 03.04.2023; გვ. 161; იხ. ბმული

[25] რადიო თავისუფლების სტატია; “ჩართეთ უცებ”, - როგორ წყვეტს სუს-ი, ვის მოუსმინოს; 25.09.2021; იხ. ბმული

[26] სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; 10.12.2021; იხ. ბმული

ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ადამიანის უფლებებში ჩარევა ხშირად სწორედ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესში ხდება. ფარული საგამოძიებო მოქმედებები კიდევ უფრო ღრმად იჭრება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში.[27] შესაბამისად, ასეთ დროს, მნიშვნელოვანი ხდება თითოეული ჩარევის მართლზომიერების შეფასება და ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ჩარევის ზღვრის დაცვით.[28]

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე უფლებამოსილი ორგანო

2016 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, თუ ვინ უნდა ფლობდეს სატელეფონო საუბრების მიყურადებისა და ინტერნეტკომუნიკაციის მონიტორინგის ჩასატარებლად საჭირო ტექნიკურ შესაძლებლობებს. იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო საჩივარში განხილულ სადაო ნორმებში გათვალისწინებული იყო საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, კომუნიკაციის საშუალებებთან პირდაპირი წვდომისა და ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა.[29]

უფრო კონკრეტულად, პირად ინფორმაციაზე პირდაპირი და უშუალო წვდომის ტექნიკური შესაძლებლობები ზრდის პირადი ცხოვრებით დაცულ უფლებაში თვითნებურად ჩარევის რისკებს. განსაკუთრებით, ინტერნეტკომუნიკაციაზე რეალურ დროში წვდომის მოპოვების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი ხდება დიდი მოცულობის ინფორმაცია, ხოლო საკანონმდებლო კონტროლის მექანიზმების არარსებობის პირობებში, არამართლზომიერად ხდება ადამიანის პირად სფეროში ჩარევა და მისი ფუნდამენტური უფლებების დარღვევა.[30]

სასამართლოს განმარტებით, **უფლების დარღვევის ალბათობა კიდევ უფრო დიდია, როცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფლობს ტექნიკურ საშუალებებს ინფორმაციის რეალურ დროში მოსაპოვებლად,** რაც მას პირთა განუსაზღვრელი წრის მოსმენის შესაძლებლობას აძლევს.[31] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

.....

[27] ადამიანის უფლებათა ცენტრი: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის ფაქტების სამართლებრივი შეფასება; 2021; გვ. 9; იხ. ბმული

[28] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი,თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,თბილისი, 2013, გვ. 24. იხ. ბმული

[29] იქვე, პარა. 71

[30] იქვე, პარა. 78, 112

[31] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 53; იხ. ბმული

თავისი ბუნებისა და ფუნქციის გათვალისწინებით, დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის ფლობით, რადგან ეს მას გაუმარტივებს საკუთარი პასუხისმგებლობების შესრულებას, რომელიც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დანაშაულის გამოძიებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულის პრევენციასთან. შესაბამისად, ბუნებრივია, ასეთი სახელმწიფო ორგანოსთვის ერთგვარი ცდუნებაა, ჰქონდეს პირდაპირი და მუდმივი წვდომა ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების მიმწოდებლებთან არსებულ მონაცემებზე. მეტიც, მუდმივი ტექნოლოგიური წინსვლის პირობებში, შეუზღუდავი ტექნიკური შესაძლებლობების თავმოყრა ფარული მიყურადების მიზნით, თავისთავად წარმოადგენს ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების სერიოზულ იარაღს.[32]

ამგვარად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აღჭურვა ინფორმაციის რეალურ დროში უშუალოდ მიღების ტექნიკური შესაძლებლობით, თითქმის შეუძლებელს ხდის ეფექტური გარე კონტროლის არსებობას. ასეთ დროს, ადამიანებმა შესაძლოა მოიაზრონ, რომ პირად სივრცეს სახელმწიფოსთან იყოფენ. ხოლო, პრივატული სივრცის არასასურველი პირებისგან დასაცავად, მუდმივი ღელვის ფონმა შესაძლოა ადამიანის ქცევის კორექტირება გამოიწვიოს. სწორედ ეს უკანასკნელია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების - პირადი სივრცის დარღვევის მაგალითი.[33]

საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო,[34] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ექვემდებარება.[35] მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, **სსიპ ოპერატიულ–ტექნიკური სააგენტოს სახით შეიქმნა ახალი ორგანო, იგი კვლავ წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალ ინსტიტუტს, რომელსაც კვლავ გააჩნია პირდაპირი და უკონტროლო წვდომის შესაძლებლობა სატელეფონო და ინტერნეტ–კომუნიკაციაზე. ამგვარი ცვლილება, ცხადია, ვერ პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილებით დადგენილ სტანდარტებს.** აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2017 წელს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და კვლავ სადავო გახადა ფარული საგამოძიებო მოქმედებების (ე.წ. ფარული მოსმენების გასაღების) მომწესრიგებელი ნორმები.[36] სამწუხაროდ, ფარული მიყურადების კანონმდებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო

.....

[32] იქვე, პარა. 55

[33] იქვე, პარა. 112

[34] საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“; მ. 8 (1) (2) (3)

[35] საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“; მ. 3 (1)

[36] კონსტიტუციური სარჩელი N1231; „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; 1 ივნისი 2017; იხ. ბმული; ასევე, იხ. „კონსტიტუციური სარჩელი ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხზე“; 2017; იხ. ბმული

დამცველის სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება.[37]

საქართველოს სახალხო დამცველის განმარტებით, ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს არაეფექტიანი გარე საპარლამენტო კონტროლი აქვს, ასევე, არსებობს მაღალი თვითნებობისა და დანაშაულის დაუსჯელად ჩადენის რისკები, რომელიც დაკავშირებულია სატელეფონო და ინტერნეტ-მონაცემების მოპოვებასთან.[38]

ასევე, 2022 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებაში აღინიშნა, რომ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს არ გააჩნია საკმარისი დამოუკიდებლობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან, ხოლო სააგენტოს საქმიანობაზე ზედამხედველობის არსებული მექანიზმი არაეფექტიანია. კომიტეტის თქმით, სააგენტოს მიერ ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელება განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს, რადგან მას მინიჭებული აქვს როგორც რეგულირების, ისე მონიტორინგის უფლებამოსილებები.[39]

ფარული ელექტრონული თვალთვალის ტექნიკური შესაძლებლობები ისეთი სახელმწიფო სტრუქტურის ექსკლუზიურ გამგებლობაში უნდა იყოს, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სპეცსამსახურების სისტემისგან. რაც იმას გულისხმობს, რომ ის სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს დანაშაულის გამოძიების და პრევენციის ფუნქციებისგან, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საფრთხეების წყაროების აღმოჩენისგან და, ზოგადად, სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტებისგან.[40]

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ზედამხედველობა

ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლსა და ზედამხედველობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ახორციელებს,[41] ხოლო მისი ჩატარება შესაძლებელია მოსამართლის განჩინებით, პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.[42]

შეიძლება ითქვას, რომ კონტროლი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე არაეფექტიანია, რადგან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ზედამხედველობის სფერო არ მოიცავს ისეთ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო საიდუმლოებასთან

[37] საქართველოს სახალხო დამცველი, „სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2022“; 03.04.2023; იხ. ბმული

[38] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება სავარაუდო არაკანონიერი მიყურადების ფაქტებთან დაკავშირებით; 03.08.2021; იხ. ბმული

[39] United Nations, Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5 (13 September 2022) para. 39. იხ. ბმული

[40] კონსტიტუციური სარჩელი N1231; „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; 1 ივნისი 2017; გვ. 30. იხ. ბმული;

[41] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. $143^4(2)$

[42] საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. $143^3(1)$

დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას სახელმწიფო უსაფრთხოების, თავდაცვის, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მიზნებისთვის.[43]

ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე,[44] რთულდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ეფექტიანი კონტროლის შესაძლებლობის შეფასება. მეტიც, შესაძლებელია, რომ აქციების დაორგანიზების პროცესში, სწორედ მოსამართლის განჩინებით ვრცელდებოდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებები აქტიური მოქალაქეების, მათ შორის, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ.[45] უფრო კონკრეტულად, თუ პროკურორის შუამდგომლობაში იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლში გათვალისწინებული გარემოებები, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამომწვევი ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისთვის, ან ასეთ მოქმედებაში მონაწილეობისთვის, მაშინ მოსამართლე უფლებამოსილია მიიღოს განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ.[46] თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება ხშირად არამართლზომიერად იზღუდება, ხოლო სამართალდამცავების მხრიდან იკვეთება მავნე დაკავებების პრაქტიკა სწორედ სსკ-ის 226-ე მუხლში არსებული „ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობის“ საფუძვლით, მეტად სავარაუდოა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებებიც აქტიური მოქალაქეების მიმართ გავრცელდეს სხვადასხვა აქციის დაორგანიზების პროცესში.[47]

მაგალითად, 2021 წელს, როცა ყველაზე მასშტაბური მოსმენების ფაქტებმა გაჟონა, სასამართლოებში სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით 1207-დან 1055 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მათ შორის ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით, როგორიც არის: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, თაღლითობა, „ქურდული სამყაროს“ წევრობა და ა.შ. ეს ყოველივე კი, შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შუამდგომლობები ძირითად შემთხვევებში კმაყოფილდება და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა რთულად დასამტკიცებელი არ არის.[48]

.....

[43] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) – Urgent Opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code Adopted by the Parliament of Georgia on June 7 2022, CDL-PI(2022)028, Opinion no. 1092/2022 (2022) para. 27; იხ. ბმული; ასევე, კონსტიტუციური სარჩელი N1231; „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; 1 ივნისი 2017; გვ. 35; იხ. ბმული.

[44] ადამიანის უფლებათა ცენტრის 2023 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში (2024) გვ. 22-24; იხ. ბმული

[45] ადამიანის უფლებათა ცენტრი, საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით კანონმდებლობის და პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი, 2022; გვ. 9,10 იხ. ბმული

[46] საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 143³(2)(ა)

[47] ადამიანის უფლებათა ცენტრი, საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით კანონმდებლობის და პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი, 2022; გვ. 9,10 იხ. ბმული

[48] ადამიანის უფლებათა ცენტრი, საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით კანონმდებლობის და პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი, 2022; გვ.10 იხ. ბმული

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ **კონტროლი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე არაეფექტიანია, რაც კიდევ უფრო ზრდის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკებს და ეჭვქვეშ აყენებს საზოგადოების თითოეული წევრის პირადი სივრცის ხელშეუხებლობას**.

საკანონმდებლო ცვლილებები

2022 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით.[49] შედეგად, **გაიზარდა იმ დანაშაულთა რაოდენობა, რაზეც ფარული საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს; გაიზარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ვადები; ასევე, შეიცვალა შეტყობინების ვადა იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებები.**[50] საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, კანონპროექტს ვეტო დაადო,[51] რაც შემდეგნაირად განმარტა: „ჯერ კიდევ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც სადმე რომ შევდივართ და საუბარი გვინდა, ვფიქრობთ, ტელეფონი გავიტანოთ თუ დავიტოვოთ? მერე ვძლევთ ამას და ვამბობთ, რომ ჯანდაბას, იყოს ეს ტელეფონი და მოუსმინონ – ეს არ არის ევროპული ცხოვრება, არ არის ადამიანის უფლებების დაცვა, ეს არის სხვა სისტემა და ჩვენ ამ სისტემიდან უნდა გამოვიდეთ. სწორედ ამის თქმა მინდოდა ამ ვეტოთი“[52]. თუმცა, საქართველოს პარლამენტმა ვეტო 6 სექტემბერს დაძლია.[53]



[49] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, N1722- IXმს-Xმპ (06.09.2022) იხ. ბმული

[50] ადამიანის უფლებათა ცენტრი, საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით კანონმდებლობის და პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი, 2022; გვ. 9-12; იხ. ბმული

[51] საქართველოს პრეზიდენტის წარდგინება - მოტივირებული შენიშვნები (23.06.2022), გვ. 2.იხ. ბმული

[52] ტაბულას სტატია; პრეზიდენტი: ისეთ ქვეყანაში ვართ, საუბარი რომ გვინდა, ვფიქრობთ, ტელეფონი ხომ არ დავტოვოთ; 02.09.2022; იხ. ბმული

[53] ნეტგაზეთის განცხადება; პარლამენტმა მოსმენების სადაო კანონზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია; 06.09.2022; იხ. ბმული

2022 წლის 26 აგვისტოს ვენეციის კომისიამ აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით გადაუდებელი მოსაზრება გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნა, რომ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი ვერ ხსნიდა საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებას და ბუნდოვანი იყო, თუ რატომ დაემატა ფარული საგამოძიებო მოქმედებებს დაქვემდებარებულ მუხლებს ისეთი დანაშაულები როგორიცაა, მაგალითად, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მუხლი 142) ან რასობრივი დისკრიმინაცია (მუხლი 142[1]). ასევე, ვენეციის კომისიის მოსაზრებაში აღნიშნული იყო, რომ პირის დროულ შეტყობინებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში გამონაკლისების არსებობის შემთხვევაში, აუცილებელი იქნებოდა გასაჩივრების შესაბამისი მექანიზმებისა და საამისოდ განკუთვნილი დამოუკიდებელი ზედამხედველი ორგანოს არსებობა.[54] თუმცა, ასეთი ორგანო, არც საქართველოს პარლამენტის მიერ ვეტოს დაძლევისა და კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდეგ არ შექმნილა.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები აჩენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის სერიოზულ რისკებს. ეს რისკები მით უფრო დიდია, როცა ქვეყანაში ისედაც არ იყო საკმარისი გარანტიები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად, უკანონო თვალთვალის აღსაკვეთად და პერსონალურ მონაცემებზე წვდომის/ თვითნებური ჩარევების შესაზღუდად.[55]

გამოძიება და ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეთა წარმოება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოები უზრუნველყოფენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. მეტიც, სახელმწიფო ვალდებულია, ერთი მხრივ, თავი შეიკავოს უფლებების დარღვევისგან, ხოლო, მეორე მხრივ, შეასრულოს პოზიტიური ვალდებულება ამ უფლებათა დაცვის კონტექსტში.[56] სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება კონვენციის მრავალი მუხლიდან გამომდინარეობს, მათ შორის არის კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაც.[57] იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს კონვენციით

[54] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) – Urgent Opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code Adopted by the Parliament of Georgia on June 7 2022, CDL-PI(2022)028, Opinion no. 1092/2022 (2022) para. 45.& 53; იხ. ბმული

[55] United Nations, Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5 (13 September 2022) para. 39. იხ. ბმული

[56] D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, 504.

[57] Gaskin v. the United Kingdom, 7 July 1989, § 42-49, Series A no. 160

გათვალისწინებული დარღვეული უფლებების ეფექტიან დაცვას, მაშინ თვით ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს დღის წესრიგში.[58]

ე.წ. კრებსების საქმეზე საქართველოს პროკურატურამ გამოძიება 2021 წლის 14 სექტემბერს დაიწყო და ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის I, II და IV ნაწილებით წარმართა. გამოძიების ფარგლებში, მოხდა იმ პირების გამოკითხვა, რომლებიც შემხებლობაში იყვნენ გავრცელებულ მასალებთან.[59]

ფარული მოსმენების საქმეში ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მოღვაწე ათამდე ჟურნალისტისა და ადვოკატის სამართლებრივ ინტერესებს. მას შემდეგ, რაც მხარეები მათთან დაკავშირებულ კრებსებს გაეცნენ, ამოიცნეს საკუთარი საუბრები და დაადასტურეს გავრცელებული მასალების ავთენტურობა. თითოეული მათგანის ფარული მოსმენა, შესაძლოა დაკავშირებული იყოს მათ პროფესიულ საქმიანობასთან. კერძოდ, ადვოკატები ჩართულნი იყვნენ რეზონანსული სისხლის სამართლის საქმეებში, ხოლო ჟურნალისტები ფაქტების გაშუქებაში. მათ კავშირი ჰქონდათ ისეთ გახმაურებულ საქმეებთან, როგორიცაა: ნამახვანჰესის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები, ზურაბ ჟვანიას საქმე, ე.წ ციანიდის საქმე, თამარ ბაჩალიაშვილის საქმე და ა.შ.

გარდა იმისა, რომ კრებსებში გამოვლინდა დაზარალებულთა პროფესიული და პირადი ცხოვრების ხელყოფა ფარული სატელეფონო მიყურადების საშუალებით, სამწუხაროდ, გამოიკვეთა ისეთი შემთხვევაც, როცა მიყურადება განხორციელდა უშუალოდ ერთ-ერთი ადვოკატის პირად ოთახშიც. ეს უკანასკნელი კი ადასტურებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მისი პირადი და საქმიანი საუბრების სრულ უკანონო კონტროლს. ასეთ შემთხვევებში, აღსანიშნავია, რომ ხდება არამხოლოდ პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა, არამედ, საადვოკატო საქმიანობაში ხელის შეშლაც. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა განცხადებით მიმართეს ქ. თბილისის პროკურატურას, რათა გამოძიებაში დამატებულიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლი, რომელიც დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევას ითვალისწინებს. სამწუხაროდ, გამოძიებას შესაბამისი მუხლით კვალიფიკაცია არ დამატებია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატებმა თითოეულ საქმეზე მიმართეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, პირთა გამოკითხვისა და მათი დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით. პროკურატურამ დაზარალებულთათვის სტატუსის მინიჭება მას შემდეგ დაიწყო, როცა დაზარალებულების ნაწილმა უფლებების დასაცავად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა.[60] საბოლოოდ, პროკურატურამ დაზარალებულად ცნო ადამიანის უფლებათა ცენტრის

.....

[58] ბესარიონ ბოხაშვილი, კონსტანტინე კორკელია;„პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“; 2017; გვ. 6; იხ. ბმული

[59] საქართველოს პროკურატურის განცხადება; 18.09.2021; იხ. ბმული

[60] რადიო თავისუფლების განცხადება; ომბუდსმენი ევროსასამართლოს სთხოვს, "მოსმენების საქმე" პრიორიტეტულად განიხილოს; 20.09.2022; იხ. ბმული

დაცვის ქვეშ მყოფი ყველა ადვოკატი და ჟურნალისტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, რაც კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევას მოიაზრებს.

საქმის წარმოების პროცესში გამოიკვეთა სხვა ხარვეზებიც, კერძოდ, თბილისის პროკურატურამ ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატებს და შესაბამისად დაზარალებულ მხარეს შეუზღუდა სისხლის სამართლის საქმის გაცნობა - მისთვის ასლის გადაცემის გზით და მიიღო დადგენილება, საქმის მასალების გასაიდუმლოების შესახებ. მართალია, ადვოკატებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ადგილზე გასცნობოდნენ საქმის მასალებს, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.[61] ხოლო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ინფორმაციის მიღება არ გულისხმობს საქმის მასალების მხოლოდ ადგილზე გაცნობას, რადგან სხვისი თანდასწრებით წერილობითი ინფორმაციის წაკითხვა და თუნდაც ჩანაწერების გაკეთების შესაძლებლობა, ვერ უზრუნველყოფს უფლებით სრულყოფილად სარგებლობას.[62] ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თ) ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავს დაზარალებულის შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ასლის სახით. **იქიდან გამომდინარე, რომ პროკურატურას აქვს შესაძლებლობა, უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით ცალკე გამოყოს ადამიანის უფლებათა ცენტრის დაცვის ქვეშ მყოფ პირთა საქმეები და მესამე პირების პერსონალური მონაცემების დაცვით გადასცეს ადვოკატებს საქმის მასალები, გადაცემაზე უარის თქმა მესამე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზეზით, წარმოადგენს ბლანკეტურ შეზღუდვას. ეს კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება.**[63]

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა მოსმენების საქმეზე საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კონვენციის მე-8, მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევასთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ევროპულ სასამართლოს აქამდეც მიუღია მსგავს საქმეებზე გადაწყვეტილება. მაგალითად, საქმეში, სადაც განმცხადებელს უკანონოდ უსმენდა რუსეთის უშიშროების სამსახური, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა დაადგინა. სასამართლოს განმარტებით, რუსეთის თვალთვალის სისტემა ნებართვის წარდგენის გარეშე აძლევდა უშიშროების სამსახურსა და პოლიციას ნებისმიერი მოქალაქის კომუნიკაციის პირდაპირი

.....

[61] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 57 (თ)

[62] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილება (2020) II. პარა. 10

[63] ადამიანის უფლებათა ცენტრი, საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით კანონმდებლობის და პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი, 2022; გვ.13 იხ. ბმული

მიყურადების საშუალებას. როგორც სასამართლომ აღნიშნა, მსგავსი სისტემები განსაკუთრებით არიან მიდრეკილნი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაკენ.[64]

ევროპარლამენტმა 2022 წლის 9 ივნისის რეზოლუციაში მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას მოსმენების საქმესთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისკენ და ამავდროულად ისეთი საკანონმდებლო მექანიზმების შემოღებისკენ, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ თვალთვალისა და მონაცემთა შეგროვების ეფექტურ ზედამხედველობას შეუწყობს ხელს.[65] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, შეუძლებელია, არსებობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომელიც გაამართლებდა პირადი ცხოვრების ასეთი მასშტაბებით კონტროლს.[66]

იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტოტალურ, უკონტროლო მოსმენებს დღემდე აგრძელებს და არაერთი გავრცელებული ფარული მიყურადების მიუხედავად, დღემდე არ მომხდარა უკანონო მოსმენების საქმეების კომპლექსური გამოძიება ან დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებული ფარული მიყურადების მარეგულირებელი ვერც საკანონმდებლო და ვერც ინსტიტუციური ჩარჩო, ვერ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.

დასკვნა

ხელისუფლებას ევალება როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების, ისე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და თავისუფალი განვითარების უფლებების დაცვა. ამ უფლებათა შეზღუდვა მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისთვის, ყველაზე ნაკლები ინტენსივობითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით არის შესაძლებელი.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს განსაკუთრებულად ხდება ადამიანის პირად სფეროში შეჭრა, ამიტომ, მნიშვნელოვანია, უფლებაში ჩარევა გამართლებული იყოს როგორც ფორმალურად და მატერიალურად, ისე შინაარსობრივადაც.

წლების წინ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ის ნორმები, რომლებიც პირადი ცხოვრების უფლებაში არათანაზომიერი ჩარევის რისკებს ვერ აზღვევდა. სასამართლოს განმარტებით, პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევის მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილება, ჰქონდეს წვდომა ტექნიკური

[64] Roman Zakharov v. Russia [GC], no. 47143/06, § 270, ECHR 2015; იხ. ბმული

[65] European Parliament resolution on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia (2022/2702(RSP)), RC-B9-0300/202; Para 7; იხ. ბმული

[66] რადიო თავისუფლების განცხადება; ომბუდსმენი ევროსასამართლოს სთხოვს, "მოსმენების საქმე" პრიორიტეტულად განიხილოს; 20.09.2022; იხ. ბმული

საშუალებებზე, რომლებიც რეალურ დროში პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების, ფლობისა და ადმინისტრირების შესაძლებლობას იძლევა. ეს კი დაუშვებელია, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს პროფესიული დაინტერესება აქვს, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოაგროვოს.

2016 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პირდაპირ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ დღესდღეობით ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე უფლებამოსილი ორგანო სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოა. სასამართლოს განმარტებით, მაშინდელ ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს უშუალოდ არ ჰქონია საგამოძიებო ფუნქციები, მაგრამ რაკი ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენელი ნაწილი იყო, არალეგიტიმური იყო დეპარტამენტის მიერ შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებებთან წვდომის არსებობა. იგივე საკითხია პრობლემური ამ შემთხვევაშიც, კერძოდ, ახალი ორგანო - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო კვლავ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი ინსტიტუტია. შედეგად, კვლავ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილების ქვეშ ექცევა როგორც საგამოძიებო მოქმედებების წარმოება, ისე კომუნიკაციის მომსახურების მიმწოდებლებთან არსებულ მონაცემებზე წვდომის მოპოვება. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით ზრდის პირადი ცხოვრების უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკებს. ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში სადავოდ გახადა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ნორმები, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება დღემდე არ მიუღია.

ქვეყანაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ეფექტიანი კონტროლი და ზედამხედველობა არ ხორციელდება. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვიწრო უფლებამოსილებებით, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევებით.

2022 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შეტანილმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კიდევ უფრო დაამძიმა ქვეყანაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით არსებული მდგომარეობა. ცვლილებების შედეგად, გაფართოვდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების არეალი, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა ამგვარი მოქმედებების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფომ საკუთარი პოზიტიური ვალდებულებები უნდა შეასრულოს, რაც, ამ შემთხვევაში, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების წარმართვაში უნდა გამოიხატოს. თუმცა, საქართველოში დღემდე არ მომხდარა უკანონო მოსმენების საქმეების კომპლექსური გამოძიება ან დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- დაიწყოს მსჯელობა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნდამენტურ რეფორმაზე. შემუშავდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად, შეუძლებელი იქნება ერთი და იმავე ორგანოსთვის ერთდროულად ისეთი უფლებამოსილებების მინიჭება, როგორიცაა: კომუნიკაციის მომსახურების მიმწოდებლებთან არსებულ მონაცემებზე წვდომის მოპოვება და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება. ასევე, ფარული ელექტრონული თვალთვალის ტექნიკურ შესაძლებლობებზე წვდომით აღიჭურვოს ორგანო, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იქნება როგორც დანაშაულის გამოძიების და პრევენციის ფუნქციებისგან, ისე სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტებისგან.
- შემუშავდეს საკანონმდებლო ცვლილებები ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელ ნორმებთან დაკავშირებით, სადაც განიხილება: 1) იმ დანაშაულთა რაოდენობის შემცირება, რომელზეც დაშვებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება; 2) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადები და ვადის გაგრძელების ზედა ზღვრის შემცირება; 3) ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ პირისთვის შეტყობინების ვადები და ვადის გაგრძელების ზედა ზღვრის შემცირება.

საქართველოს მთავრობას

- გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებების გათვალისწინებით, დაიწყოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეალური რეფორმა, რომელიც შესაბამისობაში მოვა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან.
- მოსმენების საქმეებთან დაკავშირებით ჩატარდეს სწრაფი, ეფექტიანი, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება, ხოლო უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ყველა პირი მიეცეს შესაბამის პასუხისგებაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

- მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დროულად მიიღოს გადაწყვეტილება უკონტროლო მიყურადების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ საჩივარზე, რომლის არსებითი განხილვა 2018 წელს დაასრულა, მაგრამ გადაწყვეტილება დღემდე არ მიუღია.